

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი



„დამტკიცებულია“
აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
რექტორი ანზორ შარაშენიძე

აკადემიური საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2019 წ.

ზოგადი დებულებანი

1.1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომი სასწავლო უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ხარისხის განვითარების უზრუნველყოფას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებას, ერთობრივი სწავლების, სამეცნიერო - კვლევების პროგრამების შექმნას. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს:

1.2. აკადემიური საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო.

1.3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უფლებამოსილია იყოს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელები, დეკანი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტური თვითმმართველობისა და იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;

1.4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შესული წევრები აკადემიურ საბჭოში არჩევის შემდგომ არ არიან უფლებამოსილი იყვნენ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში;

1.5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

1.6. აკადემიური საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე კენჭის ყრით, სიის შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს.

1.7. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია გამართოს სხდომები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა;

1.8. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრის საფუძველზე. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

1.9. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით;

1.10. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ;

1.11. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით;

1.12. აკადემიური საბჭო მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნორმატიული აქტებითა და სასწავლო უნივერსიტეტის მომქმედი დებულებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად მუშაობის ძირითადი პრინციპებია:

- მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის;

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების დაცვა;

- თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

- არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა;

1.13. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის;

1.14.აკადემიურ საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის რეგლამენტით, აკადემიური საბჭო გადანყვეტს დადგენილებით.

თავი II

აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

- 2.1. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება კენტი წევრით;
- 2.2. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით.

თავი III

აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

- 3.1. აკადემიური საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე კენჭის ყრით, სიის შემადგენლობის უმრავლესობით, აკადემიურ საბჭოს თავჯდომარესთან შეთანხმებით საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს, რომელსაც ევალება აკადემიური საბჭოს მიმდინარე საკითხების, ოქმებისა და დადგენილებების გაფორმება;
- 3.2. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი.
- 3.3. აკადემიური საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ მომსახურებას;

თავი IV

აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება:

4.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და რაც დაკავშირებულია სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვასა და მის საქმიანობასთან. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მტკიცდება რექტორის მიერ გამოცემული სამართებრივი აქტით;

4.2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილება :

4.2.1. განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიან (სამწლიან) და გრძელვადიან (შვიდწლიან) სტრატეგიულ გეგმას; სასწავლო უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურას, მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს;

4.2.2. განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებს; აფასებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, განსახორციელებელ ღონისძიებებს; მისაღებ კონტიგენტს; მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

4.2.3. განიხილავს და ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ კონტინგენტის რაოდენობას; მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებს; სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საათობრივ დატვირთვების ნორმატივებს და სხვა მოქმედ ნორმატიულ აქტებს;

4.2.4. განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში ღია კონკურსით არჩევის მიღების ერთიან წესს; სასწავლო უნივერსიტეტში ქცევის

ნორმებს; სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელ წესს; საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების, წარდგენისა და განხილვის პროცედურებს;

4.2.5. განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის დებულებას და მასთან დაკავშირებულ სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

4.2.6. განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს ფინანსური განვითარების გეგმას, კვლევითი საქმიანობისათვის გამოყოფილ ხარჯებს;

4.2.7. ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას,, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების,, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის,, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შექმნას;.

თავი V

აკადემიური საბჭოს მუდმივმოქმედი და/ან დროებითი კომისიები

5.1. აკადემიური საბჭოს მუდმივმოქმედი და/ან დროებითი კომისიები შეიძლება შეიქმნას სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ხმათა უმრავლესობით, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი საკითხების დარეგულირების მიზნით. მუდმივმოქმედი და/ან დროებითი კომისიების შექმნის საკითხს იხილავს აკადემიური საბჭო. კომისიის შექმნის უფლება აქვს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს;

5.2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყოს აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს წევრები, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. საჭიროების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში სამუშაოდ აგრეთვე შეიძლება მონვეულ იქნას ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი/ექსპერტი;

5.3. კომისიის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს;

5.4. კომისიას აკადემიურ საბჭოს სხდომაზე გამოაქვს მის წინაშე დასმული საკითხები;

თავი VI

რეგისტრაციის, მომზადებისა და შეტანის წესი

6.1. აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხები აისახება დღის წესრიგში, რომელსაც ამზადებს აკადემიური საბჭოს მდივანი სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით;

6.2 აკადემიური საბჭოს დანიშვნის თარიღი, განსახილველი საკითხები და ჩატარების დრო მდივანმა უნდა აცნობოს წინასწარ საბჭოს წევრებს აკადემიური საბჭოს გამართვამდე 2 დღით ადრე;

თავი VII

დღის წესრიგი

7.1. აკადემიური საბჭოს მდივანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს საბჭოს მომავალ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას

– დღის წესრიგის პროექტს;

7.2. დღის წესრიგში განსახილველი საკითხის დამატების ინიციატივის უფლება აქვს აკადემიური საბჭოს წევრს, აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

7.3. დღის წესრიგის დამტკიცება ხდება აკადემიური საბჭოს შესაბამისი სხდომის დაწყებისთანავე, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თავი VIII

აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

- 8.1. აკადემიურ საბჭოს სხდომებს უძღვება თავმჯდომარე;
- 8.2. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს მის მიერ აკადემიური საბჭოს წევებიდან უფლებამოსილი პირი;
- 8.3. აკადემიური საბჭო, იკრიბება ჩასატარებელი სხდომების აუცილებლობის შესაბამისად (თვეში ერთხელ);
- 8.4. აკადემიური საბჭოს სხდომა შეიძლება რიგარეშედ მოწვეულ იქნეს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის ან წევრთა 1/2 მოთხოვნით;
- 8.5. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
- 8.6. კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას;
- 8.7. აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, საბჭოს წევრების გარდა შესაძლებელია მოწვეულ იქნას პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის მოცემულ საკითხთან;
- 8.8. იმ პირთა სხდომაზე დასწრება, ვინც არ არიან მოწვეული, ხდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.

თავი IX

კენჭისყრის წესები

9.1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია;

9.2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/2 უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;

9.3. ფარული კენჭისყრის გამართვამდე წინასწარ, ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ხდება საბჭოს წევრთაგან ხმისდამთვლელი კომისიის არჩევა სამი წევრის შემადგენლობით. აგრეთვე მტკიცდება შემუშავებული ბიულეტენების ფორმა.

9.4. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება;

9.5. კენჭისყრის შემდეგ ბიულეტენები თავსდება სპეციალურ კონვერტში, რომელიც ერთვის შესაბამის სხდომის ოქმს და ინახება ოქმთან ერთად.

თავი X

ოქმის წარმოება

10.1. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმი ინარმოება აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ სხდომის მიმდინარეობის პროცესში განხორციელებული ჩანაწერის საფუძველზე;

10.2.ოქმი ფორმდება წერილობით და მოიცავს:

- უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დასახელებას და ნომერს (შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N);
- სხდომის ჩატარების თარიღი, თვე და წელი;
- სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
- დღის წესრიგს;
- სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- განსახილველ საკითხზე წერილობით განმარტებებს, რომლებიც გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით;
- ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და აკადემიური საბჭოს მდივანი (სხდომის მდივანი);
- ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება სასწავლო უნივერსიტეტის ბეჭედი.

თავი XI

რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

11.1. აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

თავი XII

აკადემიური საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა

12.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების მიღებისთანავე.

თავი XIII

აკადემიური საბჭოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. აკადემიური საბჭოს რეორგანიზაცია შესაძლებელია „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, სასწავლო უნივერსიტეტის დებულებისა და წარმოდგენილი დებულების საფუძველზე;

13.2. იმ შემთხვევაში თუ აკადემიური საბჭო იღებს სასწავლო უნივერსიტეტისათვის ზიანის მომტან გადაწყვეტილებებს ან არ მართავს სასწავლო უნივერსიტეტს არსებული განათლების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაში და ვერ მიჰყავს საქმიანობა სასურველ შედეგებამდე, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს უფლება აქვს დაითხოვოს აკადემიური საბჭო.